ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

30 მაისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№22 (9336)
ფასი 40 თეთრი

რაც გვეამაყება და გვაერთიანებს

26 მაისს საზეიმოდ აღინიშნა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დღე. 106 წლის წინათ 26 მაისს აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა და საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ რეს-პუბლიკას, რომელმაც მართალია მხოლოდ სამი წელიწადი იარსება, მაგრამ დემოკრატიული მმართველობის ძვირფასი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

გვინდა ჩვენს მკითხველებს შევახსენოთ, ქართველი ერის თავგანწირული ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის. დიახ, 3 ათასი წელი იბრძოდნენ ქართველები და თავს წირავდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. სწორედ ამ თავგანწირვამ და ერთგულებამ შეაძლებინა ჩვენს მცირერიცხოვან ერს შეენარჩუნებინა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

1991 წელს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

განვლილი 34 წლის მანძილზე საქართველომ სამი ომი გადაიტანა 90-იან წლებში. 2004-2012 წლებში ფაქტიურად დავკარგეთ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი. იყო დამოუკიდებლობის დაშლის არაერთი მცდელობა.

სამწუხაროდ, ეს ის წლებია, რომელმაც ვერ გვასწავლა შეცდომებიდან დასკვნების გამოტანა და დღესაც ურთულესი გამოწვევების წინაშეა ქვეყანა.

დღეს ქართველმა ხალხმა დიდი გამოცდილება შეიძინა, ხალხს ქვეყნის ხელისუფლების იმედი აქვს, რომელიც ერთგულ დარაჯად დგას საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. სწორედ ხალხის და ხელისუფლების ერთგულებამ და გონივრულმა ნაბიჯებმა შეგვაძლებინა ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება და ეკონომიკური წინსვლა.

ამ საზეიმო დღეს მკაფიოდ გაჟღერდა მოწოდება: ქართველი ხალხი აუცილებლად აიხდენს სანუკვარ ოცნებას და შექმნის ერთიან ძლიერ სახელმწიფოს და კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს ევროპულ ოჯახში, რისთვისაც მოგვინევს გავუფრთხილდეთ საქართველოს ეროვნული იდენტობის სამ საუნჯეს - მამულს, ენას და სარწმუნოებას.

დღეს, როგორც არასდროს, გვესაჭიროება დავამარცხოთ სიძულვილი, რადგან მტრობით და ღალატით დანგრეულის აშენება მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულმა კიდევ ერთხელ ცხადყო ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენ აუცილებლად ავიხდენთ ოცნებას და შევქმნით ერთიან და ეკონომიკურად ძლიერ საქართველოს, რომელიც ღირსებით და ტრადიციული ფასეულობებით დაიკავებს კუთვნილ ადგილს ევროპულ ოჯახში.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში და რაიონულ ცენტრში გაიმართა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2024 წლის 24 მაისს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**.

დეპუტატებმა მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის დირექტორის ლერი გელაშვილის ინფორმაცია 2023 წელს გაწეული მუშაობის და 2024 წლის საკურორტო სეზონის მომზადებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“, ასევე მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის სასპორტო სკოლის დირექტორის **ელიზბარ სტეფნაძის** ინფორმაცია 2023 წელს გაწეული მუშაობის და 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“.

საუკეთესო პრემიალური სასმელი და საუკეთესო მარკეტინგული კამპანია

„ლიმონათი ბორჯომისგან“

Zenith Global's InnoBev Awards **2024-ის გამარჯვებულია**

„ლიმონათი ბორჯომისგან“ საერთაშორისო ჯილდოების მფლობელია

INNOBEV AWARDS ZENITH 2024

WINNER

★ BEST PREMIUM DRINK

★ BEST MARKETING SOCIAL MEDIA CAMPAIGN

LIMONATI by BORJOMI

„ლიმონათი ბორჯომისგან“ ლონდონში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე - **Zenith Global's Annual InnoBev Awards**-ზე საუკეთესო პრემიალურ სასმელად დასახელდა, ასევე გაიმარჯვა პროდუქტის მარკეტინგულმა კამპანიამ.

Zenith Global's Annual InnoBev Awards ყოველწლიურად ტარდება და სასმელების ინდუსტრიის მსოფლიო ბრენდებს სხვადასხვა კრიტერიუმით აფასებს. დაჯილდოებას წელს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. 18 კატეგორიის 4 ნომინაცია მოიცავს ინოვაციის, მარკეტინგის, ტექნოლოგიებისა და შეფუთვის მიმართულებებს.

საერთაშორისო ჟიურიმ 182 მონაწილესა და 37 ფინალისტს შორის, „ლიმონათი ბორჯომისგან“ ოთხ ნომინაციაში ფინალისტად, ხოლო ორი ნომინაციის გამარჯვებულად დაასახელა.

- **საუკეთესო პრემიალური სასმელი - გამარჯვებული**
- **საუკეთესო მარკეტინგული/სოციალური მედია კამპანია - გამარჯვებული**
- **საუკეთესო შეფუთვის დიზაინი - ფინალისტი**
- **ბრენდის საუკეთესო განვითარება - ფინალისტი**

საამაყო და მნიშვნელოვანია, „ბორჯომის“ წარმატება საერთაშორისო დაჯილდოებაზე, რომლის მონაწილეებიც და გამარჯვებულებიც სხვადასხვა წლებში იყვნენ ისეთი დიდი კომპანიები, როგორიცაა - **Coca-Cola, PepsiCo, Nestle, Danone.** „ბორჯომი“ პრემიუმ ლიმონათების ასორტიმენტით, ტკბილი გაზიანი სასმელების კატეგორიაში იანვრიდან შევიდა. „ლიმონათი ბორჯომისგან“ ინოვაციური პროდუქტია, რომელიც დამზადებულია „ბორჯომის“ მინერალური წყლით და ქართული ნატურალური ხილის წვენით. ბრენდის საკომუნიკაციო კამპანია უკვე დაიწყო. ვიდეორგოლი გვიყვება ამბავს, თუ როგორ იქცა ლეგენდა რეალობად და როგორ შექმნა გამომგონებელმა ნატურალური ხილით და „ბორჯომის“ მინერალური წყლით განუმეორებელი გემო - „ლიმონათი ბორჯომისგან“.

https://www.facebook.com/100067208148691/videos/985591949650108

დამოუკიდებლობის დღესასწაული - ბორჯომში

26 მაისს ბორჯომის მუნიციპალიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, წვიმიანი ამინდის მიუხედავად მრავალფეროვანი პროგრამით აღინიშნა.

ღონისძიება ცეკვა „ხორუმით“ საზეიმოდ გაიხსნა, შემდეგ კი მაყურებლის წინაშე ადგილობრივი ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები წარსდგნენ.

26 მაისის დღესასწაულს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**, საჩხერისა და ჭიათურის, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიის **მეუფე დანიელი, დეკანოზი იოანე**, საკრებულოს დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

ზეიმის მონაწილეებს ქართველთა უდიდესი დღესასწაული მიულოცეს **დეკანოზმა იოანემ,** სიტყვა წარმოსთქვა მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა**.

- დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დღესასწაული.

გილოცავთ მთელი გულით და მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამ დღის დადგომა

საკუთარი სიცოცხლის ფასად შესაძლებელი გახადა.

თითოეულ ქართველს ერთი უმთავრესი მისია გვაქვს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ამ უდიდეს მონაპოვარს საფრთხე დაემუქროს.

ეს დღე ნამდვილად ჩვენია! ეს დღე ნამდვილად გვეამაყება და გვაერთიანებს!

საქართველოს და თავისუფლების სიყვარულით კიდევ ერთხელ მთელი გულით გილოცავთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს!, - აღნიშნა **დავით ზაალიშვილმა**.

26 მაისი ჩვენი დღესასწაულია

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ტკბილო საქართველო,
შენს დიდებას ქადაგებენ წლები შენი სასახელო.
ორ ზღვას შუა, ძველისძველად, ვარსკვლავივით რომ გაბრწყინდი
და დღესაც რომ ისე ბრწყინავ, როგორც ტურფა მარგალიტი.
26 მაისი კი გამარჯვების დღეა შენთვის,
თუმცა მტერთან ხშირად ხელში ისევ იბრძვი დღემდის.
შენ უკვდავი ქვეყანა ხარ, ღვთისმშობელის კალთა გფარავს,
შენთვის ცრემლი დაუღვრიათ, დიდ ქეთევანს და დიდ თამარს
შენთვის სისხლი დაუღვრია დიდ დავითს და ერეკლეს,
რომ ბადიშნი მოსწრებოდნენ ამ ბედნიერ, ლამაზ დღეს.
საზეიმოდ გამოეწყვნენ, შენი დროა, წინ-წინ ბრძოლით,
მჯერა, კვლავაც იამაყებ შამქორითა და დიდგორით,
შენ ვერაფერს ვერ დაგაკლებს მტერი მხდალი და ავყია,
ნამეხარი, ხატყვიარი, რადგან გულში კვლავ გატყვია.
შვილნი შენი სისხლს დაღვრიან, მსგავსად დიდი ნინაპრისა,
და არასდროს დაუშვებენ გამარჯვების დროშას ძირსა.
საზეიმოდ გამოეწყვე, 26 მაისია!
ბროლის თასი, წითელ ღვინით სულ ბოლომდის ამივსია.
შენ გლოცავ და გადღეგრძელებ ღვთისმშობელის წილხვედრ მიწას,
რომ არასდროს გიღალატებ დღედაჩემის ცრემლებს ვფიცავ,
რომ გაგითლი წაბლის აკვანს და დაგიზრდი ტალიკ ბიჭებს,
ვინც რომ მკერდით დაიცავენ შენ სიწმინდეს და კარიბჭეს.
გამრავლდი და გაიხარე, გამარჯვების გზებით გევლოს,
ჩემი თავი და სიცოცხლე შენ დიდებას შემოვეწლოს.
გამარჯვების დღეს გილოცავ, რა ლამაზი მაისია,
ქართველ მოდგმას თავზე ,,ტილი“ არასოდეს დაუსვია,
ბევრჯერ მტრისთვის ჭრილობაზე, მალამოც კი ნაგისვია,
მაგრამ როცა ფეხზე დადგა, კვლავ აფთრები მოგიქსია.
მავანი კი დღესაც ცდილობს, რომ დაგაჯდეს ისევ თავზე,
თუმც ქართველი მტრის ჯინაზე მაინც ივლის ქრისტეს გზაზე.
ნურაფრის ნუ გეშინია, წინ-წინ ჩემო საქართველო
და დაწერე ისტორია, ახალი და სასახელო,
26 მაისია, ბრწყინავს ცაზე იბერია,
ღვთისმშობელის წილხვედრი ხარ, სიკვდილი არ გიწერია!!!

ჯემალ ბიბილური.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოვთქვამს ცნობილი ქართველი მსახიობის და ბორჯომის საპატიო მოქალაქის

ტრისტან სარალიძის

გარდაცვალების გამო.

სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ცნობილი ქართველი მსახიობის, ბორჯომის საპატიო მოქალაქის

ტრისტან სარალიძის

გარდაცვალების გამო.
ვუსამძირებ ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და ახლობლებს.
ამ დროს სიტყვები ზედმეტია!
ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი.

დავით ზაალიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან

ტრისტან სარალიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება „ბორჯომელები“ დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 69 წლის ასაკში გარდაიცვალა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შესანიშნავი მსახიობი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე

ტრისტან სარალიძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს. ბატონ ტრისტანის გარდაცვალებით დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, მშობლიურმა ახალდაბამ და საზოგადოება „ბორჯომელების“ წევრებმა.

წელიწადნახევარში ბორჯომს განახლებული სტადიონი ექნება

კომპანია შპს „მშენებელი“ ბორჯომში 1978 წლიდან არსებობს და ამ წლების მანძილზე უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ასევე მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ. ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი ბოლო წლების მანძილზე, ხაშურის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია გახლდათ, ხოლო მიმდინარე წელს ბორჯომში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის სტადიონის რეაბილიტაციას, კვლავ შპს „მშენებელმა“ გაიმარჯვა. სამუშაოები აპრილიდან მიმდინარეობს, რომლის შესახებაც კომპანია შპს „მშენებელის“ დირექტორს ბატონ დავით გოგოლაძეს ვესაუბრთ.

ბატონო დავით, როდის არის გათვალისწინებული ბორჯომის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრება?

- სამუშაოების მიმდინარეობა 18 თვეზეა გათვალისწინებული, ჩვენ მუშაობა დავიწყეთ 2024 წლის 18 აპრილიდან და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მაყურებელთა სკამების და იარუსების წესრიგში მოყვანა..

საინტერესოა, რა სახეცვლილებას მიიღებს ცენტრალური სტადიონი სამუშაოების დასრულების შემდეგ? კონკრეტულად, რა სახის სამუშაობი ჩატარდება?

- ბორჯომის ცენტრალური სტადიონი თანამედროვე სტანდარტებით გამორჩეული იქნება. გადაიხურება სამხრეთის ტრიბუნა, სტადიონზე გარემონტდება ჰოლი, განთავსდება დაცვის ოთახი, ლიფტი, გასახდელი, ტამბური, სანიტარული კვანძი, საშხაპე, მსაჯთა და დელეგატის ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ჟურნალისტების და დოპინგის ოთახები, ბურთის ბიჭების და ექიმის ოთახები, სანიატული კვანძი, ქალთა და მამაკაცთა სანიტარული კვანძები - შშმ პირებისათვის, ასევე შშმ. პირებისათვის ადაპტირებული ლიფტი.

რა რაოდენობის თანხა დაიხარჯება აღნიშნული პროექტის ფარგლებში?

- 5 მილიონ 300 00--მდე დაჯდება. 2025 წლის სექტემბერში ბორჯომს ახლადრეაბილიტირებული თანამედროვე სტანდარტების სტადიონი ექნება.

ესაუბრა ნატო მელიქიძე

რეპორტაჟი ცენტრალურ-ისტორიულ პარკიდან

ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის შესასვლელში შევნიშნე, რომ დიდი რკინის ჭიშკარი შეუღებავთ, ფრთხილად გავიარე, ახალი შეღებილი იყო, რადგან საღებავის სუნი ჯერ კიდევ იგრძნობოდა. მცირე მანძილის გავლის შემდეგ დავინახე, თუ როგორი რუდუნებით აწესრიგებდნენ მწვანე საფარს სპეციალისტები, ნიადაგსაც აფხვიერებდნენ და გარემოს კიდევ უფრო მეტად გალამაზებაზე ზრუნავდნენ. ბუნებრივ სიმწვანეში ჩაფლულ ბილიკებში მზის სხივები ნაკლებად აღწევდა მიწის საფარამდე. პარკის სტუმრები კი მინერალური წყლის ბიუვეტთან მზის გულზე აგემოვნებდნენ ჩვენი ქალაქის ,,სავიზიტო ბარათს“ ბორჯომის ბუნებრივ თბილ მინერალურ წყალს. ცდუნებას ვერც მე გავუძელი და შევსვი ლეგენდარული წყალი, რომლის სიყვარულით ჩვენი ქალაქი ასეთი მოწონებით სარგებლობს. ბიუვეტთან მისულმა ქალბატონი შევნიშნე, რომელიც გულმოდგინედ ასუფთავებდა მიმდებარე ტერიტორიას, რომლის სისუფთავე აშკარად თვალშისაცემი გახლდათ. აქვე აღფრთოვანებით საუბრობდა ყაზახი სტუმარი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ პირველად დააგემოვნა ბორჯომის მინერალური წყალი. გვერდით მდგომს მთელი ემოციებით ესაუბრებოდა და თან წყალს მთელი ნეტარებით სვამდა.

მოშორებით ახალგაზრდა წყვილები ბორჯომულას ხმაურიანი და მჩქეფარე დინებით ტკბებოდნენ, სანახავი უდავოდ ბევრია, ატრაქციონებისა და მრავალრიცხოვან დამსვენებლების ჟრიამულის გარეშეც. აქ ყველაფერს თავისი დატვირთვა და სათქმელი აქვს. გზა გავაგრძელე, მინდოდა გოგირდოვანი აუზებისკენ მიმავალი გზისკენ გავსულიყავი.

სკამების მწვანე და წითელი ფერი ერთგვარ ფერთა სასიამოვნო გამას ქმნიდა გარემოში. ახლადშეღებილი საბაღე სკამები დაყირავებული იყო, რათა გაშრობამდე არავის ესარგებლა და არ დაზარალებულიყო. ბაბუა სასიამოვნოდ და მთელი ძალით უსვამდა ცოცხს ძირს, თითქოს მტვერიც კი არ სურდა ქვაფენილზე დარჩენილიყო, 50 წლის ასაკამდე მამაკაცს ხელზე ხელთათმანები გაუკეთებია და შემოდგომისგან დარჩენილი ფოთლებისგან ათავისუფლებდა მწვანე საფარს, წითელი პატარა ნაგვის ურნა ფოთლებით გაევსო და დასაცლელად მიიჩქაროდა. აქვე ძაღლების ყეფის ხმამ შეაკრთო პატარა ვიზიტორი და მშობლებმა ნაბიჯს აუჩქარეს.

უკვე რესტავრირებულ შენობა-ნაგებობებს ისტორიული პარკი დაუმშვენებია. მწვანე ღობეებს კი სივრცე საფეხმავლო ბილიკებამდე დაუკავებია, შიგნით კი სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად დაწყებულა და როგორც ნარნერებიდან ირკვევა უსაფრთხოების ზომები და ნორმები მაქსიმალურადაა დაცული. წლების განმავლობაში პარკის შუაგულში უფუნქციოდ დარჩენილი, დახურული საცურაო აუზის დემონტაჟი მიმდინარეობდა, ცოტა მოშორებით რამდენიმე ატრაქციონიც გაუქმებულა და დაშლილი ნაწილებიც იქვე ეწყო. მწვანე რკინის ღობის იქით შესვლა აკრძალული იყო სპეციალური აღჭურვილობისა და უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე. ამიტომ რაც თვალისთვის ხილული იყო ის მოვიტანე ჩვენს მკითხველამდე რეპორტაჟის სახით.



პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურადაა დაწყებული, რამდენად მოიზიდავს წელს ზაფხულში დამსვენებლებს აღნიშნული სამუშაოების პარალელურად პარკის მხოლოდ მცირე ნაწილში განტვირთვა, ამას თავად განსაზღვრავენ, რადგან ბორჯომ-ქალაქის მოყვარულებს პლატოსა და გოგორდოვანი აუზებისკენ მიმავალ გზაზე სიმშვიდეს მხოლოდ ბორჯომულას ხმაური და ჩიტების ჭიკჭიკი დაურღვევს.

მოამზადა იზა იანვარაშვილმა

საზოგადოების წინაშე ახალ ამპლუაში

სულ ცოტა ხნის წინ ქართულ ტელესივრცეს ტელეკომპანია „ქართული TV''-ზე ახალი გადაცემა „კოქტეილი“ შეემატა, რომლის ავტორიც და წამყვანიც არა მხოლოდ ბორჯომში, არამედ ქვეყნის მასშტაბით კარგად ცნობილი პოეტი, პედაგოგი, ექიმი-ბიოლოგი, თვითნასწავლი მხატვარი, მწიგნობართა ასოციაციის ხელმძღვანელი და მწვანე მოძრაობის მთავარი კოორდინატორი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ქალბატონი მარიზა ჯიქია გახლავთ. მის ამ ზემოთ ხსენებულ რეგალიებს კი უკვე საავტორო გადაცემის წამყვანის სტატუსიც მიემატა. ხომ გაგიგიათ, ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერიაო და ეს სიტყვები მარიზა ჯიქიას ნამდვილად ეკუთვნის, რადგანაც, მიუხედავად იმის, რომ „ქართული TV''-ის ეთერში ჯერ სულ რამდენიმე გადაცემა გავიდა, მაყურებელი შენიშნავდა, თუ რამდენად მრავალფეროვანი საკითხებითაა დატვირთული თითოეული გადაცემა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გადაცემებში საუბარია ისეთ საკითხებზე, რომლებიც დღესაც ისევ ტაბუდადებულ თემებად ითვლება. თუმცა, ქალბატონი მარიზას გადაცემა ამ მხრივ გამონაკლისია. გადაცემებში საუბარია სიყვარულზე, ქალბატონების მიმართ ძალადობაზე, გოგონების ნაადრევ ქორწინებაზე, საინტერესო საუბრებია ფსიქოლოგებთან, იურისტებთან, ექიმებთან. რაც მთვარია, ქალბატონი მარიზასთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მოზარდების ჩართულობა არსებული პრობლემების განხილვაში. მის გადაცემებში აქტიურად იღებენ მონაწილეობას კლუბ „პატარა მწიგნობარის“ წევრებიც, რომლის ხელმძღვანელიც, რა თქმა უნდა, მარიზა ჯიქია გახლავთ. იქიდან გამომდინარე, რომ მე ჩემი პირადი დამოკიდებულება მაკავშირებს, ჩემთვის ერთ-ერთ გამორჩეულ პედაგოგთან, რომელთან სწავლისა და ურთიერთობის ბედნიერება მხვდა წილად, გადავწყვიტე, რომ საყვარელი პედაგოგისთვის და ახლა უკვე ჩემი კოლეგისათვის მის ცხოვრებაში არსებული სასიამოვნო და საინტერესო სიახლე მიმელოცა და კლუბ „პატარა მწიგნობარის“ წევრებსაც გავსაუბრებოდი.

პირველ რიგში, მთელი გულით გილოცავთ თქვენ ცხოვრებაში არსებულ მეტად სასიამოვნო სიახლეს. ახლა რაც შეეხება ჩემ პირველ კითხვას, რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის შემოთავაზება საავტორო გადაცემასთან დაკავშირებით?

- სრულიად მოულოდნელი იყო, როდესაც თბილისის ტელეკომპანიიდან დაგირეკავენ, მითუმეტეს ეს პიროვნება გახლავთ **მანანა იმედაძე**, ამავე ტელეკომპანიის ხელმძღვანელი, ნამდვილად სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი და ჩემ კითხვაზე, რატომ მაინცადამაინც მე, პასუხი იყო, რომ მე მაქვს სწორედ ყველა ის მონაცემი თუ რეგალია, რომელიც აძლევს ტელეკომპანიას იმის საფუძველს, რომ თავს შესანიშნავად გავართმევდი დაკისრებულ მოვალეობას და მადლობა მათ ამ შანსისთვის.

საინტერესოა გადაცემის სახელწოდებაც „კოქტეილი“. რატომ მაინცდამაინც „კოქტეილი“?

- ორი დღე მქონდა გადაცემის სახელწოდების მოსაფიქრებლად და პასუხი მალევე ვუთხარი, სწორედ ეს სახელწოდება შეესაბამება გადაცემის ფორმატს, რადგანაც საოცარი მრავაფეროვნებით გამოირჩევა, რაც დღევანდელ დღეს საკმაოდ იშვიათია, რადგანაც გადაცემებს აქვთ მხოლოდ ერთი მიმართულება და მიხარია, რომ ჩემი რესპოდენტებიც განსხვავებულები და გამორჩეულები არიან.

როგორ ხდება თემის შერჩევა და რომელია ის საკითხები, რაზეც რესპოდენტებს და ზოგადად საზოგადოებასაც უჭირთ საუბარი?

- თემას წინასწარ ვარჩევ. პირველი გადაცემა სიყვარულის დღეს დაემთხვა და სამყაროს მივულოცეთ სიყვარულის დღე და თემაც, რა თქმა უნდა, აღნიშნულ დღეს ეხმიანებოდა. მასში მონაწილეობა მიიღეს კლუბ ,,პატარა მწიგნობარის“ წევრებმა - IX კლასის მოსწავლეებმა. გადაცემა გვქონდა ქალთა მიმართ ძალადობაზე, ნაადრევ ქორწინებაზე და გოგონათა კასტრაციაზე. ამ თემის პრაქტიკული გაგრძელება იყო და მოწვეული მყავდა ცნობილი ფქსიქოლოგი და იურისტი, რომლებმაც ისაუბრეს თემის ფსიქო-სოციალურ და იურიდიულ ასპექტებზე. საუბარი გვქონდა ჩინური ტრადიციული მკურნალობის მეთოდის, მანუალური თერაპიის შესახებ. სწორედ ზემოთ აღნიშნული და კიდევ უამრავი ტაბუდადებული თემაა, რომელზეც ზოგადად საზოგადოებას უჭირს თვალის გასწორება. თუმცა, მე როგორც დარგის სპეციალისტი, საჭიროდ ვთვლი და მიმაჩნია, რომ ბიოლოგიაში ტაბუდადებული თემა არ არსებობს!.. ამიტომაც არის ჩემი გადაცემები გამორჩეული, რაც მთავარია, მრავალფეროვანი და საინტერესო.

საინტერესოა, კიდევ რომელ საკითხებს შეეხებით შემდეგ გადაცემებში?

- თემები იქნება საოცრად მრავალფეროვანი, ზოგი იქნება წინა გადაცემის და განხილული თემის გაგრძელება, თუმცა, უფრო მეტად განსხვავებულ ჭრილში. მეყოლებიან სტუმრები, ქალბატონები, ისაუბრებენ ლიდერ ქალთა საზოგადოიების შესახებ. მოკლედ, თემები უამრავია. მაყურებელს ბევრი საინტერესო რამ ელის წინ.

- მინდა ,,პატარა მწიგნობარის“ წევრებსაც გავესაუბრო, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თქვენ გადაცემებში.

რამდენად დიდი მოტივაცია იყო თქვენთვის თქვენი პედაგოგის გადაცემაში სტუმრობა? რომელ საკითხებზე ისაუბრეთ?

თეკლა ხუციშვილი, კლუბ ,,პატარა მწიგნობარის“ წევრი: - ჩვენთვის უდიდესი მოტივაცია იყო მარიზა მასწავლებელთან სტუდიაში სტუმრობა. ზოგი ადამიანი თვლის, რომ ნაადრევი ქორწინებისა და ქალთა კასტრაციის შესახებ ჩვენი ასაკის ბავშვებისთვის საუბარი ნაადრევია, თუმცა, როდესაც საკითხის შესახებ საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ იმ ქვეყნებში, სადაც ეს ხდებოდა, აღნიშნული პრობლემის წინაშე სამი წლის ბავშვებიც კი იდგნენ, რომელთა ფსიქიკაც მთელი ცხოვრების მანძილზე ზიანდება და უდიდეს კვალს ტოვებს. აღნიშნული თემის ირგვლივ ჩვენ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ბორჯომის ბიბლიოთეკასთან და ამიტომაც მარიზა მასწავლებელმა გადაწყვიტა, რომ ფართო საზოგადოების წინაშეც გამოვსულიყავით და ეს ჩვენთვის ყველაზე დიდი სტიმული და ინსპირაციაა.

ნატალი ბარდაძე კლუბ „პატარა მწიგნობარის“ წევრი: - კლუბში უამრავი აქტივობა გვაქვს. გვქონდა წიგნის განხილვა ,,უდაბნოს ყვავილი“, სადაც სწორედ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზეა საუბარი და გადაცემაშიც სწორედ აღნიშნულ წიგნში არსებულ პრობლემის შესახებ ვისაუბრეთ, ასევე იგივე თემატიკისაა სუადი ,,ცოცხლად დამნვარი“, რომელსაც ვთვლით, რომ თანამედროვე ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია და ვფიქრობთ, საინტერესოდ წარვსდექით. მადლობა მარიზა მასწავლებელს ყველაფრისთვის. ჩვენი შრომა დიდად დააფასა საქართველოს ილია ჭავჭავაძის მწიგნობართა ასოციაციამ და დაგვაჯილდოვა მინიატურული წიგნებით.

მადლობა თქვენ საინტერესო საუბრისათვის. წარმატებებს და რაც მთავარია, მაღალ რეიტინგს გისურვებთ!

ნატო მელიქიძე

გაზეთების ჯიხური? რატომაც არა!

ოდესმე ბეჭდურმა მედიამ შეიძლება მართლა შეწყვიტოს არსებობა, მაგრამ ჯერ არა. მანამდე დიდი თუ არა, ჯერ საკმარისი დრო არის. ინტერნეტთან წვდომა ყველას გვაქვს, საინფორმაციო წყაროები უწყვეტად გვაწვდიან ახალ-ახალ ინფორმაციებს, ყველა მედიაგამოცემას თავის ინტერნეტ გვერდი აქვს, წიგნებიც ასევე შეგვიძლია ნებისმიერი გაჯეტის მეშვეობით წავიკითხოთ. მაგრამ არა, ჯერ არ ვართ ბოლომდე მზად საბოლოოდ „გაციფრულებისთვის“. და არა მარტო ძველი თაობა, რომელიც ბოლომდე ქაღალდზე კითხვასაა დაჩვეული. ბევრს ვიცნობ, შედარებით ახალგაზრდებსაც, ყველანაირ ციფრულ გამოცემაზე რომ მიუწვდებათ ხელი ,მაგრამ დაბეჭდილ წიგნს, გაზეთს ვერ ელევიან. ეს ხომ \სულ სხვა ემოციაა, განსაკუთრებული რიტუალი - გვერდების გადაფურცვლა, საღებავისა და ქაღალდის სურნელი, საინტერესო აზრების მონიშვნა, წიგნის მაღაზიაში საათობით ხეტიალი, ჟურნალ-გაზეთების აკინძვა და შიგადაშიგ მათში საინტერესო სტატიების ხელმეასედ გადაკითხვა. მეტიც. წიგნებს სხვა ქვეყნებიდან ვიწერთ, ორმაგს ვიხდით, რომ სანუკვარი გამოცემა ხელში ჩავიგდოთ. ზუსტად ამის პასუხი იყო ამ რამდენიმე ხნის წინ, გაზეთ

„ბორჯომის“ ერთგულმა მკითხველებმა თავისი სურვილი გამიზიარეს, რომელიც ჩვენი გაზეთის საშუალებით სურთ რომ გასაჯაროვდეს.

- ბაკურიანს გაზეთების ჯიხური აკლია. ამას ერთი და ორი ადამიანი არ ითხოვს. ისეთი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს, არ იქნება დამოკიდებული საკურორტო სეზონზე. დიდი შვება იქნება ჩვენთვის.

ეს გულწრფელი თხოვნა იმედი მაქვს დაკმაყოფილდება და ჟურნალ-გაზეთების მოყვარულები გაიხარებენ. ეჭვი არაა, ჯიხური სეზონზეც კარგად იმუშავებს, რადგან ძალიან ბევრი დამსვენებელი კითხულობს, თუ სად შეიძლება შეიძინონ პრესა. ასე რომ გაზეთების ჯიხური ბაკურიანში ფრიად აქტუალური თემაა.

რუსუდან სხირტლაძე.

კულტურა გვაერთიანებს!

„არის სიცოცხლე, სიკვდილში და უკვდავებაშიც...“

15 მაისს თბილისში, სასტუმრო „მუზის“ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ვანო სარაჯიშვილის დაბადებიდან 145 და გარდაცვალებიდან 100 წლის ღონისძიება, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ ოპერის მომღერალი თემურ გუგუშვილი.

კუს ტბის გზაზე, მარჯვენა მხარეს შეუხვიეთ, თვალწინ გაიშალა სიმწვანეში ჩაფლული ეზო. აპოლონი თავის მუზებით, ულამაზესი საკონცერტო დარბაზი, ანთებული სანთლების ფონზე სცენამ გადაგვიყვანა წარსულში. ღონისძიების წამყვანმა მაკა ბაგრატიონმა საქართველოს „ბულბულის“ ვანოს ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე გვიამბობდა. გვახსენებდა სიღნაღელი ყმაწვილის სიჭაბუკეს და სიმწიფის წლებს. იშვიათად თუ რგებია ვინმეს ღვთისაგან ისეთი ხმა და გარეგნობა, როგორც ვანოს ჰქონდა. სცენაზე გამოვიდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის მომღერლები. სულხან გველესიანმა, თემურ გუგუშვილმა, მაყვალა ასპანიძემ, ირაკლი მურჯიკნელმა, რამაზ ჩიკვილაძემ, მარიკა მაჩიტიძემ, არმაზ დარაშვილმა შეასრულეს ის სიმღერები და საოპერო პარტიები, რითაც ცნობილი იყო ვანო სარაჯიშვილი.

1903 წელს ბორჯომში, რომანოვის სასახლეში ჩამოსული იყვნენ ირანის, თურქეთის და რუსეთის ელჩები. სადილზე მიპატიჟებული იყო ცნობილი ვიოლონჩელისტი ალექსანდრე დავიდოვი, რომელიც ყოველ ზაფხულს ქალიშვილთან ერთად სამკურნალოდ ჩამოდიოდა ბორჯომში. სადილის შემდეგ იმღერა ვანო სარაჯიშვილმა. დავიდოვი თავის დღიურში წერდა: ,,ყმაწვილს დიდი მომავალი აქვსო“. (ვანო სარაჯიშვილი სხვა დროსაც არაერთხელ სტუმრობდა ბორჯომს).

თბილისის ქალთა გიმნაზიის გოგონებიდან ვანოს სოფო მეტრეველი მოსწონებია. მათ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა ყოფილა. სოფოს ბაბუას ბორჯომში, რკინიგზის სადგურის უკან, პატარა სასტუმრო ჰქონია. იმ ზაფხულს სოფო ბაბუასთან ყოფილა, ბარათი, რომელიც პატარა ბიჭმა სოფოს გადასცა, იტყობინებოდა: ,,სოფო ძვირფასო!, აქა ვარ! გელოდები ფირუზასთან 6 საათზე“.

ვანო 24 წლის საკში ილია ჭავჭავაძის დაფინანსებით გაემგზავრა პეტერბურგში, შემდეგ იტალიაში. იმ დროს მილანში ქართველი მომღერალი ელენე თარხნიშვილი ცხოვრობდა. სწორედ მის სახლში ვანო დაუახლოვდა მსოფლიოში განთქმულ მომღერლებს შალიაპინს, ჯირალნს, ტოტო რუფის.

1906 წელს ვანო სარაჯიშვილი გასტროლებზე თბილიში ჩამოვიდა, სადაც შეასრულა ალფრედის (ტრავიატა); ჰერცოგის ,,რიგოლეტო“, ფაუსტის ,,ევგენი ონეგინი“ და ისევ დაბრუნდა იტალიაში.

ვანოს მეგობარი, ულამაზესი სოპრანო, ნინა კავალიერი ჰყავდა, საქართველოში ჩამოსულა, გავრცელდა ამბავი, თითქოს ვანო მასზე დაქორწინდა. გამწარებული სოფო ირლანდიელ მწერალ ო, ნილზე გათხოვდა. გაემგზავრა ირლანდიაში. იქ ომი დახვდათ და პარიზში დაბრუნდნენ. გადიოდა წლები, მათ უკვე ორი ქალიშვილი ჰყავდათ. ელენემ ავალიშვილთან შეხვედრის დროს გაიგო, ვანოს ამბავი. მოტყუებულმა სოფომ მოინდომა სამშობლოში დაბრუნება. პატრიკმა საბედისწერო ,,ტიტანიკით“ გოგონები სამოგზაუროდ წაიყვანა, თვითონ დაიღუპა, ბავშვები მაშველებმა გადაარჩინეს. 1917 წლიდან ვანო საქართველოში დაბრუნდა. ცოლად მოიყვანა მეგარდირობე ნინო ქიქოძე, მათ შვილი არ შეძენიათ. 1923 წელს რეჟისორმა ამო ბეკ-ხაზაროვმა ალ. ყაზბეგის ,,მამის მკვლელი“ გადაიღო. ამ მუნჯმა ფილმა შემოინახა ვანოს გარეგნობა.

,,აბესალომ და ეთერი“, ,,ქეთო და კოტე“, ,,ლეილა“, ,,ღალატი“, ,,დაისი“, მისი სავიზიტო ბარათი ,,ურმული“.

1924 წლის 11 ნოემბერს ინფექციური დაავადებით (ისპანკა) ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა. ვანო ოპერის თეატრის ეზოში დაკრძალეს.

P.S. ღონისძიება დამთავრდა. გარეთ გამოსულებს, ვაკის პარკთან გზები გადაკეტილი დაგვხვდა. ახალგაზრდები ბობოქრობდნენ. ერს, რომელსაც ასეთი ხელოვნება, პოეზია, ლიტერატურა გააჩნია, ვიღაცების დაკვეთით, წვიმაში, სიცივეში ახალგაზრდები - კივიან, ყვირიან და ბინძურ სიტყვებსაც იყენებენ. გაჩერებასთან დიდხანს ვიდექით, მერე ნაცნობმა მძღოლმა მიკროავტობუსი გაგვიჩერა. დიდხანს გვატარა და მეტრომდე მიგვიყვანა. ერთ-ერთი ჩვენი თანამგზავრი დაინტერესდა მძღოლის ვინაობით და ჰკითხა: ვინ ხარ მადლიანო - ივანე ვარ ასპინძიდან. ,,დედაშენმა გაიხაროს, შენი გაჩენისთვისო“ - მიაძახეს მგზავრებმა მძღოლს.

დალი ქურდაძე.

ელვის სისწრაფით დაკრული ურთულესი ნაწარმოებები

ლიზი ხაჩიძის **როიალზე დაკვრის მოსმენის შესაძლებლობა ძალიან ბევრჯერ მქონდა, მარინე რატიანთან მეცადინეების პერიოდში. მუსიკის მოსმენისას სხვა განზომილებაში ინაცვლებ და გგონია, ეს არარეალურ სამყაროში ხდება. ახლოდან უყურო და თან გესმოდეს როგორ უკრავენ ელვის სისწრაფით ლიზის ულამაზესი თითები შავ და თეთრ კლავიშებზე - ეს აუცილებლად უნდა ნახო და საკუთარი ყურით მოისმინო, რადგან სიტყვები ყოველთვის არ იძლევა აღწერო ის, რასაც გრძნობ და განიცდი. ნაწარმოებების მოცულობა და სირთულე ცალკე თემაა, რომელსაც ჩვენი რესპონდენტი მასწავლებელთან ერთად არჩევს და შემდეგ დაკვრას სწავლობს.**

წლებია ლიზი ხაჩიძის ბრწყინვალე გამარჯვებები საერთაშორისო თუ რეგიონალურ კონკურსებზე აღარავის უკვირს, რატომღაც ხანდახან ჩვეულებრივ ამბადაც კი აღიქვამ, იმდენად ხშირად გვესმის ამ გოგოს შესახებ წლების მანძილზე მხოლოდ გამარჯვებით დაბრუნების შესახებ ინფორმაცია. **მას გვერდს ყოველთვის დედა - ლიკა ბუცხრიკიძე უმშვენებს და მისი ყოველი გამარჯვების მილოცვას დიდი თავმდაბლობითა და მადლობის გადახდით პასუხობს.**

მადლობა ჩვენ უნდა ვუთხრათ, ასეთი ლიზი რომ გვაჩუქა. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის მის პედაგოგს, რომელიც არც დროს და არც ენერგიას არ იშურებდა, რომ ლიზი ხაჩიძეს ეს მწვერვალები დაეპყრო და ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა. ლიზი, რომ ბორჯომიდანაა ამაზე ყველა ერთად ვამაყობთ და მომავალშიც კიდევ მეტად ვიამაყებთ.

ბორჯომის სამუსიკო სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული განაცხადი, რომელიც გვაუწყებს, რომ 29 მაისს, 16 საათზე გაიმართება ლიზი ხაჩიძის კონცერტი. ლიზი ხაჩიძე სამუსიკო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეა. მინდა კიდევ ძალიან ბევრი გამარჯვება ვუსურვო, რომ გულშემატკივრების გულები ყოველთვის სიხარულის ემოციებით აევსოს.

ეს მცირედ გამოხატული სითბო და სიყვარულია, რომელიც პირადად გამოვხატე ამ წერილის საშუალებით ლიზისადმი. ის გაცილებით მეტს იმსახურებს თავისი გამორჩეული ნიჭიერებითა და პიროვნული თვისებებით.

იზა იანვარაშვილი

ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

ცოტა რამ „ჭაჭარაქზე“

ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვინ იყვენენ სავანლები და საიდან ჩნდება სახელი ჭაჭარაქი? სავანელი ეკუთვნოდა ქართულ თავად-აზნაურულ გვარს. სიტყვა სავანელი ზედწოდებაა წინანდელი გვარი უცნობია. სავანელი სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა, სავანე-განსასვენებელი, დასასვენებელ, საუცხოო ადგილს ნიშნავს. თავადი სავანლები ცხოვრებულან დღევანდელ სავანისხევის (სავანის ხევის, ახალდაბა) ღელის სიღრმეში, ხაშურ-ბორჯომის ტრასიდან 2 კმ-ში. მათ იქ ოდნავ შემაღლებულ ადგილზე ჰქონიათ სასახლე და ციხე. დღეს იქ მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. სავანელის მამული იწყებოდა პატარა კორტანეთთან (გრიგალაშვილები), რომ პატარა ღელე ჩამოდის მტკვრის მარცხენა მხარეს ტყიან, სახნავ-საძოვარ-სათიბიანად მტკვრის დინების ჩამოყოლებით ახალდაბაში ჩადუნელ-კაპანაძეების უბნის გაყოლებით (ახალდაბის მთაწმინდა, პანტნარის ჩათვლით). დაბლა ახალდაბა სხვა გვარის სათავადო ყოფილა. მდ.მტკვირს მარჯვენა მხარეს დღევანდელი ახალდაბის რკინიგზაზე სამანქანო გადასასვლელის პირდაპირ აყოლებით ე.წ. საიას ტყის ჩათვლით მდინარე ნეძურას მარჯვენა მხარე თავის ველ-მინდვერებითა და ტყით კამის ვაკის წყლამდე, შემდეგ ამ ღელის აყოლებით, კამის ვაკე, წიფლარი, ქარტიანად, თავის სახნავ-საძოვრებითა და ტყით. როგორც ვხედავთ სათავადო საკმაოდ ვრცელი და შემოსავლიანი იქნებოდა. XVIII.-ის მეორე ნახევრიდან სავანლებს ძალიან გაუჭირდათ, ხშირმა ომებმა და გამუდმებულმა ლეკიანობამ ეს მხარე წაახდინა. ქართლის მეფის როსტომის წყალობით სავანლები საცხოვრებლად გადავიდნენ დღევანდელ ხაშურის რაიონში სოფელ ტეზერთან, ახალ დასახლებას სავანის (სავანლის) უბანი უწოდეს. დრო და დრო ახალდაბის მამულზეც ეჭირათ თვალი.

ახლა გავარკვიოთ როდის გაჩნდა ამ მხარეში სახელწოდება ჭაჭარაქი? XVI საუკუნის II ნახევრიდან როგორც ცნობილია ამ მხარეში გაბატონდნენ თურქ-ოსმალები. მათ ორჯერ 1588 და 1595 წლებში გადასახადების ზუსტად აკრეფის მიზნით ჩაატარეს აღწერა, მათ არ გამორჩენიათ სოფლები თუ ნასოფლარები. შეადგინეს საგადასახადო ნუსხა, რომელიც ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სახელითაა ცნობილი. დავთარში ზემოთ დასახელებული დავიწყებული ნასოფლარები საერთოდ ნახსენები არ არის, ასევე სახელი ჭაჭარაქი არც დღევანდელ ბორჯომის ხეობაშია ნახსენები. XVIII საუკუნის დასაწყისში ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა თავის წიგნში ,,აღწერაი სამეფოისა საქართველოისა“, რომელშიც თითქმის დეტალურადაა შესწავლილი, ეს მხარე არც ზემოთ დასახელებული უსახელო ნასოფლარებია ნახსენები და არც ჭაჭარაქი აქვს მოხსენიებული. სავარაუდოა, რომ ის სოფლები დიდი ხნის მივიწყებული და შესაძლოა გატყევებულიც იყო, რომ მათი ხსენება არც თურქებს უცდიათ და არც ვახუშტი ბატონიშვილი.

ჭაჭარაქის სახელით სოფლები ნახსენებია ახალციხის რაიონში სამგან, ერთგან ზედა

და ქვედა ჭაჭარაქი, დანარჩენ ორ შემთხვევაში მხოლოდ ჭაჭარაქი. დღეისათვის შემორჩენილია ერთი ჭაჭარაქი სოფელ მინაძესთან ახლოს, დასახლებულია ეთნიკურად სომეხი მოსახლეობით, ხოლო ორი ჭაჭარაქის მხოლოდ ნასოფლარებია შემორჩენილი. სახელწოდება ჭაჭარაქის ეტიმოლოგია ჯერჯერობით უცნობია.

ჩვენი აზრით სავარაუდოა ახალციხის ქვედა და ზედა ჭაჭრაქის მოსახლეობა, რომლებიც თურქი დამბყრობელისაგან აუტანელ ტანჯვას განიცდიდნენ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე შემოეხიზნენ ახალდაბის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ დიდი ხნის წინათ მიტოვებულ ნასოფლერებს და თავიანთი სოფლების ზედა და ქვედა ჭაჭარაქის სახელები დაერქმიათ ახალი საცხოვრებლი ადგილებისთვის. ისე, როგორც მაგ. ხარაგაულის მხარეში გაქცეულ-გადასულმა მეხსეთ-ჯავახეთის ვარძილებმა, მოლითელებმა და ზოგიერთი სხვა სოფლების მცხოვრებლებმა გადაიტანეს თავიანთი სოფლების სახელები და დაარქვეს ახალ საცხოვრებლ ადგილებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავადი სავანლები იმ დროს სავანის ხევიდან გადასულები იყვნენ საცხოვრებლად დღევანდელი ხაშურის რაიონის სოფელ სავანისუბანში. სავარაუდოა, რომ ისინი თავიანთ მამულებს შესაძლებლობის ფარგლებში ყურადღებას აქცევდნენ. ალბათ, ახალციხის ჭაჭარაქლები სავანელთან შეთანხმების გარეშე აქ ვერ დასახლდებოდნენ და სახელიც მასთან შეთანხმებით დაარქვეს. ალბათ მათ აქ დიდხანს არ მოუწიათ ცხოვრება ხშირი ლეკიანობისა და თურქების მარბიელი რაზმების ყაჩაღობით განაწამებთ და შიდა ქართლში ან დასავლეთ საქართველოში გაიხიზნენ. სახელი ჭაჭარაქი თავად სავანელის მეხსიერებაში დარჩა და როდესაც მთა ღორის ნამკალიდან ჩამოსული ჩადუნლები და ლომიძეები დაასახლა ახალ ტერიტორიებზე სახელი ჭაჭარაქიც შეიძლება მისი დარქმეული იყოს. მენაბდიშვილის ეკლესიის ირგვლივ ჩადუნლების დასახლებას ქვედა ჭაჭარაქი უწოდეს, ხოლო მათ ზემოთ ლომიძეების დასახლებას ზედა ჭაჭარაქი.

ზემოთ აღნიშნულმა სოფლემა ამ ადგილებზე იარსება დაახლოებით 55-60 წელი. აქ დასახლებულმა მოსახლეობამ მოკლე დროში გააშენეს ვენახისა და ხილის ბაღები. 1936-37 წლებში ჩამოყალიბდა ცალ-ცალკე კოლმეურნეობები და აგრძელებდნენ ცხოვრებას, მაგრამ 1944 წლის ზაფხულში მათ მოუწიათ თავიანთი საცხოვრებელი ადგლებიდან აყრა და მესხეთ-ჯავახეთში ე.წ თურქი მესხების შუა აზიაში გადასახლების შემდეგ მათ ადგილებზე დასახლება. ჭაჭარაქლები ჩაასახლეს სოფელ ნოხტევში... გადასახლებული მოსახლეობა ვერ ეგუებოდა ნოხტევის ჰავასა და საერთოდ გარემოს... სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო პიროვნების კულტის გამოცხადების კამპანი და გადასახლებული მოსახლეობაც დაუბრუნდა ახალდაბას. თავთავიანთ საცხოვრებელ ადგილებში არავინ დაუსახლებიათ, ზოგმა ფულით შეიძინა სამოსახლო ნაკვეთი, ზოგი ახალდაბის კოლმეურნეობაში გაწევრიანდა და მისცეს სამოსახლო. ამ ბოლო წლებში ქვედა ჭაჭარაქი გადაეება ახალდაბას და ქვედა ჭაჭარაქის სახელი დავიწყებას მიეცა. ზედა ჭაჭარაქში აშენდა დასასვენებელი სახლები, კერძო პირებმა შეიძინეს ნაკვეთები და უკვე 5-6 მოსახლის აგარაკიც აქვს. დასახლებას ახალდაბას უწოდებენ...

სახელი ჭაჭარაქი კვლავ დავიწყებას მიეცა. ალბათ, უპრიანი იქნებოდა ახალდაბაში ერთ-ერთ ქუჩას ჭაჭარაქის სახელი ეწოდოს.

ალგი ლომიძე,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი“ №21. 2024 წლის 23 მაისი.

ვულოცავთ!

ბორჯომის ხეობის საზოგადოების ერთ-ერთ უსაყვარლეს პიროვნებას, ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, მსოფლიოს ვეტერან სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრებებში საქართველოდან ერთადერთ მონაწილეს და არაერთგზის გამარჯვებულს. შესანიშნავი ოჯახის უფროსს და წარმატებული შვილების, შვილიშვილების მამას და ბაბუას, ჩვენს უფროს ძმას და მეგობარს, ბატონ **ელგუჯა ორჯონიკიძეს** დაბადების 88 წელი შეუსრულდა.

ბატონო ელგუჯა გილოცავთ დაბადების 88 წლისთავს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ღვთის წყალობას, ღმერთმა თქვენებრ გულკეთილი, თავაზიანი, გაჭირვებულთა ერთგული დამხმარე, ქველმოქმედი არ მოაკლოს ჩვენს ქვეყნას.

იცოცხლეთ დიდხანს თქვენი ოჯახის, ნათესავების, მეგობრების საამაყოდ და საიმედოდ.

პატივისცემით: ჯუმბერ კურტანიძე, ვალერიან ლომიძე, პეტრე აზარაშვილი, ზაურ შერგელაშვილი, ზურაბ და თამაზ გელაშვილები, ნოდარ ნოზაძე, ჯამბულ ღონღაძე, ვალერი გოგოლაძე, ჯონი ჩხაიძე, თემურ სუთიძე თამაზი ჩიკვაიძე, ნუგზარ ტაბატაძე.

გადარჩები

ბიეროჭერ ეადგენ	ის და ბიეროჭერ ბეთხოს,
ქეფცო დგინიფოს ეინთჩერი,
ცოოქლი და სისხლი ხლიესთეთ ედიოდა,
ქფოს ჭიბილი, ძირეფ თ ეადგ ბერდი.
ბიერი ბერს ქიხეს ოფით ფცბოფდა,
ეოლზეფ ხოქ ქოისფეს ჭეთი დგეკიდეს,
ეიფი სიქთოეიოლ. ეილთეფ ეადგოჩერი,
თო... ქთოეიოლიქი თ ეგეკიდეს.

იხიბეფი სოფქისიანი



ICNOBDET GIORGI VENKOS



მან სკოლაში საქველმოქმედო აქციაზე, ასევე, მსოფლიოს მასშტაბით, 40 ათასი ევრო შეაგროვა და ბროწლიანის სათნოების სახლს მოახმარა. წყალი გაუყვანა და სახურავი გამოუცვალა.

წარმოგიდგენიათ? თანაც, მან ეს 12-13 წლის ასაკში მოახერხა.

მიდგა, მოდგა, ვის აღარ მიმართა, საქველმოქმედო კონცერტიც გამართა და აი, ასე, ამდენ ადამიანს პირობები გაუუმჯობესა.

გიორგიმ საქველმოქმედო ფონდიც შექმნა - ,,დავეხმაროთ საქართველოს"". არაერთი იდეის გახორციელებას აპირებს.

ის დედით ქართველია, მამით - ამერიკელი. ჰოლანდიაში ცხოვრობს. დედისგან სწორედ იქ გაიგო ბროწლიანის პრობლემაზე.

გიორგი საქართველოში დააჯილდოვეს როგორც ყველაზე ახალგაზრდა ქველმოქმედი.

მისი უმცროსი ძმები ლევანი და თემურიც ქველმოქმედები არიან. ისინი საქართველოში მდებარე სხვა მოხუცთა თავშესაფრებს ეხმარებიან.

ასაკს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს მოტივაციას, მიზანდასახულობას, ადამიანების სიყვარულს.

დიდი მადლობა, გიორგი!

საინტერესოა იცოდეთ

იცოდით? პირველი ,,მის ევროპა" 1905 წელს ქართველი იყო, ეკატერინე თარხნიშვილი კასპიდან. მისი კონკურენტები იყვნენ ავსტრიის პრინცესა და იტალიელი და ფრანგი მილიონერების ქალიშვილები.

კონკურსის წესების მიხედვით ყველა კონკურსანტი სხვადასხვა ფერის კარეტაში იჯდა, ეკატერინეს მისი თვალებისფერი ლურჯი კარეტა შეხვდა, კარეტები პარიზის ქუჩებში ჩამოატარეს და ხალხი პატარა ბარათებს ყრიდა მასში. ყველაზე მეტი ბარათი ქართველმა კონკურსანტმა მოაგროვა, მას საჩუქრად ბრილიანტის სამკაული გადასცეს.



თეიმურაზ, თამარ, რუსუდან, თინათინ გვარამაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ დას ქეთევან გვარამაძეს მეუღლის

ომარ კალანდაძის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა 26 მაისს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,

რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.

WWW. colorgroup.ge

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

„წიგნიკი" - სიახლე ბავშვებისათვის

ადრეული ბავშვობა მნიშვნელოვანი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. დაბადებიდან ექვს წლამდე ასაკი საოცრად სწრაფი, უნიკალური ზრდის ხანაა, სწორედ ამ დროს ვითარდება თავის ტვინი ყველაზე სწრაფად და ინტენსიურად, რაც საფუძვლად ედება ადამიანის შემდგომ ცხოვრებას. ადრეულ ასაკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის პოზიტიური მხარდაჭერა და მათთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შეთავაზება. ადრეულ ასაკში ბავშვის ქცევის, სწავლისა და განვითარების ძირითადი ფორმა თამაშია. თამაში ბავშვისთვის სამყაროს შემეცნების, თვითგამოხატვისა და ურთიერთობის საშუალებაა. ეს პროცესი მისთვის ბუნებრიობის, უსაფრთხოების, კმაყოფილებისა და სიამოვნების შეგრძნების წყაროა. დღეს, თანამედროვე ცხოვრებაში უამრავი საშუალება, რესურსი თუ სახელმძღვანელო იქმნება იმისთვის, რომ ბავშვებმა სწორედ ადრეული ასაკიდანვე შეძლონ სამყაროს აღქმა ფორმების, ფერების, სიტყვებისა თუ გამოსახულებების მეშვეობით და ალბათ, ვისაც სოციალურ ქსელთან წვდომა აქვს, აღნიშნული თემატიკის უამრავ რესურსს შეხვდებით. სულ ცოტა ხნის წინ გამოჩდა სოციალურ ქსელში ახალი გვერდი „წიგნიკი", რომლის სახელწოდებიდანაც ალბათ მიხვდებით, ის წიგნს ეხება, თუმცა გეტყვით, რომ ეს არ არის უბრალოდ სასწავლო წიგნი. ის მთლიანად მორგებულია ბავშვთა სენსორული უნარების განვითარებაზე. მისი შემქმნელი კი ბავშვებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტი, ეთერ მელიქიძე გახლავთ. ქალბატონი ეთო, ბორჯომის სკოლამდელ დაწესებულებაში ათი წელია მუშაობს, რვა წელი აღმზრდელის პოზიციაზე იმუშავა, შემდეგ პედაგოგის. ორი წელია, რაც მეთოდისტის პოზიციაზე გადაინაცვლა. როგორც ამბობს, ამ ათ წელში ჩატეულია უამრავი ფერადი და ემოციური მოგონება, პატარების სიყვარული და კოლეგების პატივისცემა. იქიდან გამომდინარე, რომ მან ზუსტად იცის, რა სჭირდებათ ბავშვებს, სწორედ მათ საჭიროებებზე მორგებული „წიგნიკის" შექმნა და ამ საინტერესო სიახლის შესახებ ის თვითონ გვესაუბრება:

აღნიშნული „წიგნიკის" შექმნის იდეა საიდან გაჩდა?

- მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღში მუშაობა დაკავშირებულია ერთგვარ შემოქმედებით უნარებთან, დღეს ამ სფეროში მუშაობენ ძალიან ნიჭიერი, ფაქტიურად, ხელოვანი ადამიანები, რომლებიც პატარებს ულამაზებენ ყოველდღიურ აქტივობებს, სხვაგვარად უბრალოდ წარმოუდგენელია. ბავშვობიდან მიყვარდა ხატვა, ბაღმა მომცა საშუალება ეს შესაძლებლობა ისევ გამომეყენებინა და შემექმნა ფერადი ნახატები და აპლიკაციები ბავშვებისთვის, მრავალფეროვანი მასალებით სხვადასხვა თემებზე. აი ნემსი და ძაფი კი მართლა სიახლე იყო. დიდი ხანია ინტერნეტ სივრცეში ვათვალიერებდი რესურსებს, მოვიძიე თითქმის ყველა საჭირო ინფორმაცია და რესურსი და სულ რაღაც ერთი თვეა, რაც დავიწყე თექის სენსორული წიგნების შექმნა, დღეს "მყავს" სამი წიგნიკი, უკვე ვმუშაობ ინდივიდუალურ შეკვეთებზეც.

ვთვლი, რომ მსგავსი სახის წიგნები განსაკუთრებით საჭიროა და აუცილებელია სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, რამაც რეალურად ბიძგი მომცა ეს საქმიანობა წამომეწყო.

თემატიკის შერჩევა როგორ ხდება?

- წიგნის სიუჟეტების სირთულე და შინაარსი დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე და ინტერესებზე. ჯერ ვხატავ, ვჭრი თარგებს და შემდეგ ვაწყობ სიუჟეტს თექაზე. თემატიკის შერჩევის დროს ვფიქრობ ბავშვებზე, მათ ემოციებზე,

ბედნიერ და გაოცებულ სახეებზე.

რა ასაკის ბავშვებზეა გათვლილი?

- წიგნები 2 დან 6 წლამდე ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

- მსგავსი წიგნების მთავარი ფუნქცია და დანიშნულება რა არის?

- სენსორული წიგნები ყველაზე ეფექტური საშუალებაა ბავშვებთან დავამყაროთ პოზიტიური კომუნიკაცია და თუნდაც ცოტა ხნით ისინი მოვწყვიტოთ ეკრანებს. მისი მთავარი დანიშნულებაა ბავშვს განუვითარდეს თვალისა და ხელის კოორდინაცია, წვრილი ნატიფი მოტორიკა, მეტყველება, შემეცნება და რაც მთავრია, წიგნთან მეგობრობა ადრეულ ასაკში.

„წიგნიკის" შეძენის სურვილის შემთხვევაში სად უნდა მოგძებნონ მშობლებმა?

- სოციალურ ქსელში ,,წიგნიკი"-ს გვერდზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოწერა.

- გილოცავთ მართლაც ამ საოცრად ლამაზ და რაც მთავარია საჭირო სიახლეს. წარმატებებს გისურვებთ!

ნატალია მესხელი

სპორტი

„თორის" საბრძოლო ფრე

ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის სტადიონზე, იმერეთის რეგიონალური საფეხბურთო ჩემპიონატის ფარგლებში, ბორჯომის სასპორტო სკოლის გუნდი „თორი" და სამტრედიის საფეხბურთო გუნდი „სამტრედია" დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ფრედ, ანგარიშით 3:3, დასრულდა.

მატჩს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**, მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე**, საკრებულოს დეპუტატები, სასპორტო სკოლის დირექტორი **ელიზბარ სტეფნაძე** და ადგილობრივები ესწრებოდნენ.

რაგბი ახალდაბას ეწვია

ბორჯომის სასპორტო სკოლისა და ბორჯომის რაგბის კლუბის ორგანიზებით, ახალდაბაში 6-13 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში რაგბის ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 350-მდე მორაგბე მონაწილეობდა, მათ შორის 30 გოგო. ფესტივალის ყველა მონაწილეს სამახსოვრო სიგელები გადაეცა.

რაგბის ფესტივალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე**, საკრებულოს დეპუტატი **მამუკა ხითარიშვილი** და სასპორტო სკოლის დირექტორი **ელიზბარ სტეფნაძე** ესწრებოდნენ.

მსგავსი სახის მასშტაბურ ფესტივალს ბორჯომის მუნიციპალიტეტმა პირველად უმასპინძლა. ფესტივალის მხარდამჭერია ბორჯომის მუნიციპალიტეტი და ,,IDS ბორჯომი-საქართველო".

როზა ხრიკაძის გახსენება

ამ ფოტოზე დედაჩემი, როზა ხრიკაძე ისე გამოყურება თითქოს სამსახურში კვლავ სატელეფონო ხაზზე ყოფილიყოს, ბაკურიანის კავშირგაბმულობის ქსელს, ხომ, მან თითქმის ნახევარი საუკუნე შეალია. როგორც ჩანს, დედას ჰყვარებია თავისი საქმე, ამიტომაც თანამედროვე ტელეფონსაც ხელიდან არ უშვებდა და საათობით საუბრობდა. ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი გახლდათ. ვის არ იცნობდა და ვის არ გასაუბრებია, მაშინდელი მთავრობის ხელმძღვანელი პირებიდან დაწყებული... მოკლედ, ტელეფონით ყველას იცნობდა და ამით ამაყობდა კიდეც.. იყო ბორჯომის რაიონის დეპუტატიც.. უამრავ სიგელებსა და ჯილდოებს შორის ეამაყებოდა შრომის ვეტერანის წოდება, რომელიც თვით მინისტრს გადაუცია პირადად.

ხალხის გარეშე არ შეეძლო, ამიტომაც ბოლო წლებში სახლის გვერდით პატარა ჯიხურში იჯდა...

უყვარდა ჟურნალ-გაზეთების კითხვა. განსაკუთრებით ცხადია რაიონული გაზეთი ,,ბორჯომი"", რომელსაც ყოველთვის იწერდა (ახლაც მოგვდის). ხშირად გამიგია დედისაგან, რომ როგორ არ მქონდეს ეს გაზეთი გამოწერილი, რომლის ფურცლებზეც ჩემზე არაერთი ლამაზი წერილი დაიწერაო...

დედამ ბევრი კარგი რამ მასწავლა, ჩამომაყალიბა ადამიანად და ამისი მადლიერი ვარ, რომ მე დღეს მშვენიერი ოჯახი მაქვს. ვფიქრობ, კარგი შვილები აღვზარდე, რაშიც დედაჩემის დიდი წვლიცაა.

აღდგომის წინა დღეებში მიებარა დედაჩემის, როზა ხრიკაძის სული... ნათელში იყავ დედა!

შენი მარინა ოჯახით